გლეხები იღარიონ სარჯველამ, კიმითე კერძესლიდე და კალისტრატორი ქართველი
ეიტრებით დახვრიტეს ნიღოითის მახლობლად.

ჩოხატაურელმა აჯანყებულებმა ვერ მოახერხეს კავშირის დამყარება ლანჩი-
ხუთან და სამაზრო ცენტრი იზურგეთან. მხოლოდ გვიან გაიგეს, რომ მეზობე-
ლი რაიონის ცენტრი სამტრედია კვლავ მენშევიკთა ხელშია, ლანჩხუთში აჯან-
ყებულები დამარცხდნენ და ბოლშევიკებმა ვერ აიღეს იზურგეთი.

მიღებას რა ეს ცნობები, ჩოხატაურის რევოლუციურმა კომიტეტმა გადა-
წყვიტა უბრძოლველად დაეტოვებიათ რაიონი, რათა ადგილობრივი მოსახლეობა
გადატრინიათ სისხლის ღვრისაგან.

მენშევიკებმა სუფსასა და ლანჩხუთში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ იერიში
ჩოხატაურზე მიიტანეს. ჩოხატაურის დასარბევად იზურგეთიდან გაემართა
გვარდიელთა რაზმი კაპიტან ვ. ცომაიას მეთაურობით, ხოლო საჯევახოდან გო-
გრაძის რაზმი, რომლებიც ტყვიამურქევებითა და ზარბაზნებით იყო შეიარაღე-
ბული. ჩოხატაურთან მოახლოებისას ორივე რაზმი ზარბაზნების ზალპით მო-
სახლეობას აგრძნობინა, რომ ისინი ცეცხლითა და მახვილით სისხლში ჩაახრ-
წოდნენ აჯანყებას. დაიწყო სასტკი რეპრესიები. ჩოხატაურის რაიონის სხვა-
დასხვა სოფლებში დაიჭირეს და დახვრიტეს ილია ცინცაძე, ფილატონ გოგოლა-
ძე, მიხეილ ბერძნიშვილი, თეოფილ თელორაძე, ბენია ბერიძე, ტარასი მინდა-
ძე, ავთანდილ და პართენ მამალაძები.

გურიიში კომუნისტების დახვრიტის გამო ბაქოს ბოლშევიკური გაზეთი
„ნოვი მირ“-ი წერდა: „ისტორიას არ ახსოეს რევოლუციონერების ასეთი მოხარ-
ბა ეს არ ახსოეს 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შავბნელი დღეები.
მაგრამ როდესაც ადარებ მეფის მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს რევოლუციო-
ნერების წინააღმდეგ მენშევიკური მთავრობის რეპრესიებთან, ნათელი გახდება,
რომ მეფის მთავრობა რევოლუციონერებს ეპურობოდა უფრო მოწყალებით, ვიდ-
რე ახლანდელი „დემოკრატიული სახელმწიფოების“ ხელმძღვანელები“¹.

გურიის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მიუხედავად დამარცხებისა, 1919 წ.
აჯანყებას საქართველოს პარტიულა ორგანიზაციებისათვის დიდი მნიშ-
ვნელობა პერნადა კონტრევოლუციური ხელასუფლების წინააღმდეგ შეიარაღე-
ბული ბრძოლის გამოცდილების შექნის აზრით. მან აიძულა დენიკინი ეზრუნა
თავისი ზურგის უშიშროებისათვის. საქართველოს სახელმწიფოს გადმოიყვანა
რამდენიმე პოლკი. რომ ამით შეესუსტებანა წითელი არმიის წინააღმდეგ მოქმე-
დი ძალები².

გურიის გლეხთა აჯანყებიდან თექვსმეტი თვის შემდეგ საქართველოს მუ-
შებმა და გლეხებმა, დიდი რუსი ხალხისა და წითელი არმიის დახმარებით, დაამ-
ხეს მენშევიკების ბატონობა. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭო-
თა ხელისუფლებამ გაიმარჯვა.

¹ „ნოვი მირ“ № 15 იანვარი 1920 წ.

² საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნატკეცები, თბ. 1957 წ. გვ. 447.


გიორგი ხორგუაშვილი

კაცის მხარეთმოღნიბის მუზეუმის დირექტორი,
სამოგადოების კანკის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოაღვალე

მ დ უ მ ა რ ე მ თ მ ე

შიდა ქართლში, ლეხერის ხეობაზე მრავალი ისტორიული ძეგლია აღმარ-
თული, მაგრამ პირველობას მაინც დიდებული სამთავისის ტაძარი ჩემულობს.
ციხე-ქოშებს შორის კი სხვილოს ციხეს ვერცერთი შეეღრება. იგი აღმართუ-
ლია სოფ. ქევმო ჭალის მახლობლად მაღალ მთაზე და ზეიადად გადასცემის
ტართლის დიდ ნაწილს, ტირიფონისა თუ მუხრანის ველებს, ლეხერისა თუ
ქსნის ხეობების არე-მარეს. ის ვეებერთელა ციხე-დარბაზი ათეული კილომეტრის
სიშორიადანაც მშენებერიად შეიმჩნევა. არავეს დაემშეიღობებით თუ არა, ვიდ-
რე გორის ზევით, ჩუისის გადასავალს არ მიეცარებით, ყოველი მხრიდან შეგიძ-
ლიათ უმშიროთ.

სხვილოს ციხის ამბავი და ასავალ-დასავალი ნამოსახლარ სხვილოსთან
არის გადახლართული. რა ხნისანი არიან ან ერთი, ან მეორე, ამის დადგრა
ჭირს, მაგრამ ერთი რამ ცხადია; სოფელი სხვილო იხსენიება ჯერ კიდევ X საუ-



ს ხ ი ლ ი ს ც ი ხ

ერთ შემთხვევაში მეტატიანეს ლეონტი მროველს კახთა ერისთავის „კვირის ერთგულებად სხვებთან ერთად დასახელებული ჰყავს „დარი და ივანე სხელი სელი“. როგორც ჩანს, X საუკუნეში სხვილი იმდენად დაწინაურებული და სა- ხელგანთქმული ყოფილა, რომ იქ უცხოერიათ წარინინებულ პიროვნებებს; რომ მეღოთ ვინაობა ისტორიაში მათი საამაყო სამფლობელოს — სხვილის მიხედვით შემოვინახა. სავარაუდოა, რომ ჯერ ციხე იყო და მერე დასახლება განჩნდა, ხოლო XIV საუკუნეში, როცა სხვილი ქართლის ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალების ზევიგნიძე — ამილახვერების ხელში გადადის, ისინი ებარებიან არა მარტო სოფელსა და აღგილ-მამულებს, არამედ ციხე-სიმაგრესაც. რომელიც დიდშინიშვეროვან დასაცავ პუნქტს წარმოადგენდა.

საფიქრელია, რომ სხვილოს ციხე თავდაპირელად სხვა სახისა იყო, გაცალებით უფრო მცირე, მაგრამ ამეამად საკმარის დიდია. ფართობი 530 კვ. მ. უღრის. გარშემო შემოვლებული აქვს ორი მ. სისქისა და 10 მ. სიმაღლის შეურყიველი კედელი, ნაგები დუღაბითა და სიბი (რიყის) ქვით. სიმაგრისათვის ვარდან მიუშენებიათ შეიძი ბურჯი, ზემოდან კი ქონგურებით, სათვალთვალოებით, სათოფურებით და მეომრების დასადგომით ბაქნებით დაუგირებებინებიათ. ციხის შეინით თითქმის ყველა საჭირო ნაგებობა და სათავსო მოუწყვიათ. სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩაუშენებიათ ორი ხეთსართულიანი კოშკი თახჩებით, სათვალთვალოებით და სარკმლებითურთ. იქვე მიუღვამთ ორსართულიანი ყველესია, პირველი სართული წმინდა გიორგის, ხოლო მეორე — თევდორეს სახელობისაა. არც წყალსაცავი აუზი დავრწყებიათ, წყალი შეუყვანიათ თიხის მიღებით 3 კმ. მოშორებული აღგილიდან. შეა ეზოში გვი ამილახვარს აუშენებია ოთხეუთხა სვეტი, რომლისსოდისაც ოთხეუ მხრიდან ბუხარი და უტანებიათ. ციხე-დარბაზის სხვა ბევრი სათავსიც ქვენია.

ციხე-დარბაზის მიღამოებში ჯერ კიდევ აზ გამტრალა კვალი ნასოფლარისა და გალავნისა, რომლის შეინით, გადმოუყმის თანახმად, ყოფილა შენობები, სა- დაც საზოგადო საქმეები წყდებოდა. (დ. გვრიტიშვილი „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“, თბილისი 1955 წ. გვ. 115). აქვე შემორჩენილია სამინავიანი ბაზილაციური ყველესია „ჯვარპატიონი“, რო- მელსაც ლეხურის ხეობის ერთ-ერთი საუკეთესო მკელევარი რომელი არ გამოიყოფა. მის სიმაგრეზე დღესაც შემორჩენილია ხალხური ლექსი:

„შენ სხვილოს ციხე მაღალო,
ძირი გაქვს განიერია,
ბევრჯერ დაგსხმია მომხდური,
ბუზი ვერ აუფრინია“.

ბუზი ვერ აუფრინეს ყოზილბაშების წინააღმდეგ მამაც მებრძოლს გვი ან- დუყაფარის ძე ამილახვარსაც. გივი ამილახვარი ერთ-ერთი გავლენიანი და შეძლებული თავადი იყო, რომელსაც ქართლის დიდი ნაწილი და ნაწილობრივ სამხ-

ჩერთოც ემირისილებოდა. მისი ხელქვეითი იყო 14 თავადის საგვარულო. შეფესთან დაახლოებული პირი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფიციურის წარმომადგენი და XVIII საუკუნის საქართველოში. მისი სახელი ისტორიაში იმით, რესტრიციაში რომ თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის მიზანის მიზანის მიზანი და სპასალარიმა. მან მოახერხა მიერთო სხვა ერისთავებიც, გაეყოდებინა მრავალი კუთხით და აჯანყება მოეწყო ირანის ერთ-ერთი და თი დესპოტის — ნადირ-შაჰის წინააღმდეგ. მრისახანე ნადირ-შაჰშა დიდძალი ჯარი გაგზავნა აჯანყებული ამილახვარის წინააღმდეგ. პირეველ რიგში იერიში მიიტანეს ამილახვარის რეზიდენციაზე — ქვემოთაღაზე. ამ დროს გივი ამილახვარი სხვილოს ციხეში იყო გამაგრებული. სხვილოს ციხესთან გამამართა დიდი ბრძოლა, რომელსაც პატნა თრბელიანი ასე აგვიშერს: „გავიდეს გარეთ ამათა მებრძოლები და გამოიდეს იმათი. იყვეს თმი ფიცხელი, დაიხოცოს ორგნითვე ურიცხვი“.

სხვილოს ციხე — ქართველი ფეოდალების კინკლაობისა და ტრაგედიის ტელური მოწმეც არის. როცა ქართლში როსტომი მეფობდა, იასე ქსნის ერისთავი და ითოთამ ამილახვარი მისი მოწინააღმდეგენი იყვნენ. როსტომ მეფემ გაიღაშერა ურიც ფეოდალების წინააღმდეგ და სხვილოს ციხე დაეციდა.

კახეთის მეფე თეიმურაზესა და ქართლის მეფე სვიმონს შორის მტრიობა იყო სამოვარდნილი, თეიმურაზემა მიიმხრო არავის ერისთავი ზურაბი, რომელსაც დაავალა სვიმონ მეფის მოკედა. თავანეთის სამამულოს დახარბებულმა ერისთავი არ დაიზარა მკელელობა. სიმონ მეფე სხვილოს ციხეში იმყოფებოდა. ზურაბი შევიდა სიმონის საწოლ რთაში და სარეცელზე მოკლა, თავი კი თეიმურაზე წაუღო.

სხვილოს ციხე, როგორც ვთქვით, XIV საუკუნიდან ზედგენიძე-ამილახვრების ხელში გადადის და მას ფლობენ, ვიდრე მათი დინასტია არ დაეცა. ამილახვრები ყოველთვის დაილობდნენ შეფესთან დაახლოებული პირინი ყოფილიყვნენ, ხშირ შემთხვევაში ერთგული. სხვათა შორის, ამილახვრობაც — ეს დიდი სამხედრო წოდება, მეფისადმი ერთგულებით მიიღეს. შეიტმულ ფეოდალებს განუზრახვთ მეფე გიორგი IX — ლოგინში მოეკლათ, მინარე შეფის გადასარჩენად თაყა (ითოთამ) ზედგენიძემ თავი გასწირა და გიორგის საწოლში საწიგა. მეფის ნაცვლად იგი დასჭრეს სასიცელილოდ, მეფე გიორგიმ ამისათვის თაყა ზედგენიძის ჩამომავლობას უამრავი ქონება და მამული აჩუქა. უბოძა თავადობა და ამილახვრობა. იგანე გივის-ძე ამილახვრის საგვარეულო დერბზე ეწერა:

„მეფისა მტერსა ლახვარი, ამტკიცებს ამილახვარი“.

როცა საქართველო რუსეთის შეუერთდა, ამილახვრები რუსეთის მეფესთანაც ცდილობდნენ დაახლოებას. ბარძიმ ამილახვარი XIX საუკუნის დასაწყისში იმდენად ერთგულია რუსეთის მეფისა, რომ მას გვერდში ამოუდგა და უბრძოდა ლევან ბატონიშვილს, რომელმაც სამხრეთ ისეთი აავანყა რუსეთის წინააღმდეგ. ხოლო მისი შვილიშვილი ივანე გივის-ძე ამილახვარი ნიკოლოზ II-ის დაახლოებული პირი ხდება და 1905 წელს ბაქოს გენერალ-გუბერნატორობას აღწევს. ისე, რომ ციირქების გამოყენებით, ამილახვრები რეაქციონერები იყვნენ, დიდ ექსპლოატაციას უწევდნენ ყმა-გლეხებს. ისინი ნატრობდნენ:

ნეტავი ნატერა შანატრა,
 ეს ნატერა ამიხდინაო,
 მუხრან-ბატონი ყმად მომცა,
 ამიღაბევარი — შინაო!

გლეხები ხმას იმაღლებენ მჩაგვრელი კლასის წინააღმდეგ. იციან, რომ ნებით არ დახმობენ თავაღობას და იარაღისაც ენ მიუწევთ მარჯვენა. და აი, 1905 წლის ჩეკოლუციის დროს ამიღაბევრიანთ ქეშემომი გლეხებია მიუკუდე შეკრული მჯობად იქცევა. ამიღაბევრების „ბალანსზე“ მყოფი¹ განთქმული სხვილის ციხე აღლა მოწმე ხდება დიდი რევოლუციური ამბებისა. აი ერთი მათვანი:

1905 წლის 7 მარტს ბოლშევკი-რევოლუციონერების წინასწარი გეგმითა და ორგანიზებულობით სხვილის ციხესთან უნდა შეერგილიყო გორის მაზრის ქვემო-ქალის რაიონის გლეხობა. დიდძალი ხალხი დაძრულიყო თვით ქვემოქალიდან, სა-კორინთლოდან, კოდისწყაროდან, ახალი უბნიდან: სამთავისიდან, გორაკიდან, შსხლებიდან, ვაკედან, გამდისწყაროდან, ციხისეკი მოისწრაფოდა აგრეთვე ლეხურის ხეობის თხობა. სულ თავი მოიყარა 15.00-მდე კაცმა. ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდა სოფ. ქვემოქალის მცვიდრი, უკვე ნაწილობი რევოლუციონერი, რსდმპ წევრი 1902 წლიდან, გორათლებული პიროვნება გრიგოლ (გუცა) ბენედიქტეს ძე ბარეაძე, რომელიც თბილისის სასულიერო სევინარიაში სწავლობდა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში, მონაწილეობდა მისი ახლოხელი მეცნიერის სოსო ჯულაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ მარქისისტულ-წრეში და რევოლუციურ საქმიანობაში კარ-სად ნაწილობი იყო. მჩაგვად გამოსვლაში და საადამილო თაბინიზუ მიუღია მო-ნაწილობა, მეტების ციხის კედლებიც ნახები ჰქონდა. მას მჩარში ედგნენ ქვე-როჭალელი რევოლუციონერები — ალექსი თავშავაძე. რომელაც შემდეგ გააციმ-ბირს რევოლუციური საქმიანობისათვის და გზაში გარდაიცვალა; ვახო გეთა-წილი, ალექსანდრე ფრუიძე, მიხა ქარცივაძე. გიორგი აბრამიშვილი, დამიტრი უანჯარაძე და სხვები. კრებას ესწრებოდა აგრეთვე ცნობილი რევოლუციონერი მიხეილ დავითაშვილი, რომელიც ი. ჯულაშვილის და თვით გ. პარეაძის ახლო ტერობარი იყო. ი. ჯულაშვილს სპეციალურად გამოეგზავნა მ. დავითაშვილი კრე-ბაზე დასასწრებლად. ი. ჯულაშვილი სხვა დროსაც ხშირად ყოფილა ქვემოქალა-ზი, გ. პარეაძის გარდა იქ ცნობდა სხვა ახალგაზრდა გლეხებს. მითითებას ა-ალევდა მათ, განსაკუთრებული სიურთხოლით მოპყრობობდნენ ამ საქმეს. მ. დავითა-შვილი საზღვარგარეთიდან ახალი დაძრუნებული იყო. კარგად ერკეოდა პარ-ტიულ-ბოლიტიკურ კითარებაში, კაშირი ჰქონდა დამყარებული გ. ი. ლენინ-თან და, რა თქმა უნდა, ბევრ საინტერესო ამბებს ეტყობა თავისუფლების მოყვარე გლეხობას. ასეც მოხდა — მთავარი მოხსენება სწორედ მ. დავითაშვილისა იყო. მას ხარბად უსმენდნენ კრების მონაწილენი. სიტყვები წარმოოქვეს გ. პარეაძემ და სხვებმა. მათი მთავარი სალაპარაკო იყო მაშინდელი ცხოვრების დახასიათება და საპრძოლებელად დარაშვია.

კრებაზე ლამისყანელ გლეხებს ძალათი მოეყვანათ თავიანთი მღვდელი სა-მონ ხახუტაშვილი, რომელსაც დამსწრებმა მოსთხოვეს სიტყვით გამოსულიყო.

„ავიდა თუ არა მღვდელი ძეველი ეკლესის ნანგრევზე, ხალხში ერთი ჩოჩ-ქოლი ატყდა, — იგონებს გ. პარეაძე — ილაპარაკე, მღვდელო, შენი ცოდეები — მიაძახა მას ჭველამ ერთად. გაუითორებულმა მღვდელმა ჯიბიდან ჯვარი ამინიჭო და აქეთ-იქით გადაიქინა.

— მომისმინეთ, შვილები... მართალია, ჩვენი ეკლესიის მსახურინ მოვალენი გიყავით ძმობა-ერთობაზე გვექადავნა, გაჭირვებულს დაცხმარებოლით, ღარიბი და საწყალი ხალხისათვის შეება და ლხენა მიგვეცა, მაგრამ ქრისტინის ჩერტი ამის ნებას არ გვაძლევდნენ. დღეის შემდეგ კი ოქვენთან ერთად ეკრძებით და წულ და ვივიწყებთ ჩევნთვის წამებულს და ჯვარცმულ ქრისტესო — თქვა ეკლესიის ერთგულმა მონა-მოსამსახურები. ხალხმა იგრიალა: ძირს, დაიკარგე, შეწყც და შენი ქრისტეცათ". (გ. პარეაძე, მასალები ქართლის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ, თბილისი, 1954 წელი გვ. 82).

ამავე კრებას დასწრებითა თბილისიდან პროეკტორი ვინემ სარქის მარქაროვი, რომელიც სიტყვითაც გამოსულა და ხალხს თავს აცნობდა, როგორც თბილისის მუშებისაგან გამოგზავნილი სოციალისტური იდეების მქადაგებელი. სინამდვილეში კი შენიბულად ცდილობდა ანტირევოლუციური პოლიტიკის პროპაგანდას. მარქაროვს მაღლ მიუხვდნენ. ბოლშევიკებმა — მ. დავითაშვილმა, გ. პარეაძემ, ა. თავშავაძემ, ვ. გეორგევილმა იგი სოფლიდან გააძევეს.

სხვილოს ციხესათან გამართულმა კრებამ დიდხანს გასტანა, პროპაგანდისტების საუბარმა კარგი შედეგი გამოილო. გლეხები სიტყვით გამოიდინენ და ფიცს სდებდნენ, რომ იბრძოლებდნენ თავისუფლების მოპოვებისათვის. აღელვებული კრების მონაწილენი დარაზმულად წამოვიდნენ ქეემოჭალაში, სადაც მჩაგვრელი ამილაზვარი ეგულებოდათ, მაგრამ მათ უკვე თავისათვის ეშველათ, შეშინებულებს სოფლიდან გუდა-ნაბადი აყავარათ.

1905—1907 წლების რევოლუციის დროს სხვილოს ციხეში და მის მიდამოებში კიდევ ბერეჯერ შეკრებილან რევოლუციონერები და წითელრაზმელები, გაუმართიათ საიდუმლო კრებები და თაობირები.

მაგრამ მეცის ხელისუფლება, ადგილობრივი თავადაზნაურობა ერთიანდება და ათასებარი ხრის მიმართავს გლეხთა მოძრაობის ჩასახშობად.

1905 წლის გაზაფხულშე რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისათვის დაარსდა თავადაზნაურთა მილიცია, ანუ როგორც შემდეგში უწოდეს — შავი რაზმი, რომელსაც სათავეში ჩაუყინეს სტუდენტი ზურაბ აბდუშელიშვილი და მემამულე თავადი გორგი თოთარის ძე ამილახვარი, ხოლო იმავე წლის 10 ივნისს გორისადაც და დუშეთის მაზრების გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს ივანე გიგის ძე ამილახვარი. მათ სასტიკი ზომები მიიღეს რევოლუციის სისხლში ჩასახშობად, პირისელ რიგში იერიში მიძეონდათ ქეემოჭალისა და მის ახლომახლო სოფლების რევოლუციონერებზე, მაგრამ გლეხობამ პირი შეკა და ვერაურით ვერ დაიმორჩილეს. როცა გუბერნატორად ნაკურთხი გენერალი თავის სოუელ ქეემოჭალაში მიიღიდა დამსჯელი ექსპედიციით, საშინელი უბედურება დახვდა. სასახლე, ზერძი, უამრავი ქონება და სიმდიდრე გლეხებს უსატრონოდ მიტოვებინათ. ჯოვი, პირუტივი, ცხენი, ფარა უგზო-უკვლიოდ დაქეტებოდნენ. ერთგული გლეხები დაიბარა, იმათაც ზურგი შეაქციეს, აბუნტებული გლეხების დასჯა მოინდომა, მოყავანაც ტი ვერ მოახერხა, გაცეცხლებული გენერალი მიღებულ ანდრო კარბელაშვილს მიავრდა, ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღარ მიდის და ეს უწესრიგობა სულ იმის ბრალია. მღვდელმა მხრები აიწენა — რა ვენა, ბატონი, უფალია მოწმე გაუთენებლივ ვრეკაც ზარებს ეკლესიაში, მაგრამ ეისთვის! დიაკონისა და სტაროსტას მეტი საყდარში არავინ დაიმარება, რაც ღვთასიშვერლმა ბუნტოვშიკებმა გადარია ხალხი, ეკლესიას კაცი აღარ ეკარებათ. მღვდელი გულახდილად მართალს მოახსენებ-

და, — აღარც სხვილოს ჯვარჩატიოსანის, აღარც სხვილოს ციხის მთხლიმდებარებული წმინდა მარიამისა და წმინდა გიორგის ეკლესიას აბუნტებული გადახობა სალოცავად არ ეყარებოდა. თუ შეგროვდებოდნენ, მხოლოდ რევოლუციური პროპაგანდის გასაწევდა.

სხვილოს ციხე რევოლუციონერებისათვისაც მოხერხებული გამოდგა. იგი სოფელ ქვემოჭალას თითქმის 2 კილომეტრით არის მოშორებული, მაღლა ქედზეა. ციხის ჩრდილოეთით ტუკი იწყება. მოწიანააღმდეგის გამოჩენას შორიდანვე შეამჩნია წმინდნენ. თვით ციხეშიც ხორ შეიძლებოდა ჩაკეტვა და თავის დაცვა, მაგრამ გასაქცევადაც და დასამალადაც მოსახერხებელი იყო. ამიტომ ხშირად იქ იქრიბებოდნენ რევოლუციონერები. ასე ხდებოდა მენშევიკების უდღეური ბატონობის ხანაშიც.

ამ პრიორდში ქვემოჭალაში ბოლშევიკების მძღვარი ორგანიზაცია არსებობდა. მან შეძლო გარშემო შემოყრიბა რევოლუციურად განწყობილი გლეხობის უმრავლესობა. რევოლუციონერები და საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიური მებრძოლები ვ. გნოლიძე, ს. ოსევაშვილი, მ. გიგიაშვილი, კ. გაგაშვილი, გ. უზნაძე, მ. თექუმანიძე, გ. ილურიძე, კ. მცხევთაძე და ბეგრი სხვა. დიდ რევოლუციურ მოლვაშვილას ეწეოდნენ მასების დასარაზმად მენშევიური ხელისუფლების წინააღმდეგ. სხვილოს ციხესთან და მის ახლომახლო ადგილებში არალეგალურად იქრიბებოდნენ და საიდუმლო თათბირებს მართავდნენ.

1918 წლის 1 მაისს სხვილოს ციხის მახლობლად სოფ. ქვემოჭალაში ამიდაბერიანთ ციხე-კოშკან და ეკლესია ჯვარჩატიოსანის წინ მოწყო დიდი მიტინგი. სადაც დიდძალი გლეხობა შეიტრიბა. მიტინგზე სიტყვებით გამოიიდნენ მენშევიკების თავიაცები და თავიანთ რეემის ქება-ღადებას ასხამდნენ ბრძესტის ზავის საკითხებში, რაც საშმინდლოს ღალატად მიაჩნდათ. შემდეგ ტრიბუნა მოლშევიკებმა ჩაიგდეს, ხალხის წინაშე ლაპარაკობდნენ სიმართლეს, ამზიდუბლებინ შენშევიკების რეემის ბურკუაზიულ ხასიათს და მოუწოდებდნენ მის დამხობისაგენ, როცა ბოლშევიკები ასეთი გაძევით ლაპარაკობდნენ. მათ იმედი პქონდათ თავიანთი დამცველებისა. წითელრაზმელებისა, რომლებიც გლეხის ფორმაში უფრნენ გადაცემული და ფრთხილად იცავდნენ თავიანთ ორატორებს. ხალხმაც მხარი დაუჭირა, მაგრამ შეიარაღებულმა მენშევიკების გვარდიამ მაინც მახვილი აღმართა და დიდი შეტაკება მოხდა მათსა და წითელ-რაზმელებს შორის. მენშევიკებმა მოახერხეს „მუნტოვშიკების“ მეთაური ვასილ გნოლიძე დაებატიმრებინათ და სხვა თანამზრასხველებთან ერთად ამილახვრიანთ ციხე-კოშკის დილეგში ჩაეგდოთ. გადაწყვეტეს კიდეც მათი დახვრეტა, მაგრამ რევოლუციონერებმა მოახერხეს მეთაურისა და მოძმევების გაპარება დილეგიდან.

ასეთი გამოსვლები და შეტაკებანი ხშირი იყო ქვემოჭალის რაიონში. იქაურშა მშერომელებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოში საბჭოთა ხელაშეფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ეს მდუმარე მოწმე, სხვილოს ბეჭერი ციხე დღესაც ამაყად დგას და გადმოსცემის ქართლის მიდამოს. ჩვენი წინაპრების ამ უნიკალურ ძეგლს დღესაც საუთად უვლის და იცავს დღევანდელი მაღლიერი თაობა.

მიხეილ ნიკოლაიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

კულტურის ძაგლთა დაცვის მდგრადარიგა ძაღლის მაზრაში
საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1921—1925 წ.წ.)

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს კულტურული მშენებლობისა და ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის უდიდესი მინიშვნელობა ჩვენი პარტიისა და მთავრობის იმ ღონისძიებების გატარებას, რომელიციც მიზნად ისახავდნენ კულტურულ მემკვიდრეობის, ისტორიულ სიძეველეთა დაცვისა და სამუზეუმო-საარქივო დაწესებულებათა მოწყობის საქმეს.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში, როდესაც ის კოლოსალურ თეორიულ და პრაქტიკულ-ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა, დროს პოულობრდა ყურადღება მიეკუთა ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის, ამასთან ის მითითებდა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გამხდარიყო. ვ. ი. ლენინის მიერ ხელმიწერილმა დეკრეტებმა და მისი უშუალო მითითებების საფუძველზე გატარებულმა პირველმა ღონისძიებებმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს, რათა ხალხის მიერ შეემნილი მემკვიდრეობა ხალხისავე ხელმისაწვდომი გამხდარიყო. კომუნისტურ პარტიას სამიროდ მიაჩინდა განემისართვისა და გლეხებისათვის, რომ ოქტომბრის ღიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ მათ გადასცა არა მარტო მატერიალური სიმძიდრე, არამედ კულტურული მემკვიდრეობაც, რომელიც მანამდე გაბატონებული კლასის ხელში იძირდებოდა.

საბჭოთა მთავრობა თელიდა რა კულტურის ძეგლთა დაცვასა და მათ მუშაობებში კონცენტრაციას სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად, წინადაღებას აძლევდა განათლების სახალხო კომისარიატს შექმნა სპეციალური ორგანო. მართლაც 1918 წლის მაისში კომისარიატთან იქმნება სამუზეუმი განყოფილება, რომელიც განაგებდა რუსეთში ყველა მუშაობის მეშაობასა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს. ამავე დროს განათლების სახალხო კომისარიატს დაეყვალა გამოეშავებინა რსუსრ ფარგლებიდან სურათების, და საერთოდ, მაღალმხატვრული ფასურლობათა გატანის აქტიალების პროექტი. ეს პროექტი განხილა და დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭომ 1918 წ. 19 ნოემბრის.

ამ ღონისძიებების გატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, როგორც მდიდარი კულტურული წარსულის მქონე ქვეყნისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე იწყება კომისარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ქართველი ხალხის მიერ შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. საქართველოს რევოლუცია იცოდა რა, თუ როგორი ზიანის მომტანი იყო ქვეყნისათვის კულტურულ

დასეულობათა გატანა საზღვარგარეთ, 1921 წ. 11 ივლისს გამოსცა დეკრეტი საქართველოდან კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის საგნების გატანის აქტალურის შესახებ. დეკრეტში ნათქვამია: „იმ მიზნით, რომ დაცული იქნება ხალხის კულტურული განძულობა, განსაკუთრებით მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის ნივთები და აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის საგნები, სსრ რევოლუციური კომიტეტი ადგენს:

ვისგანაც უნდა იყოს, განათლების სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად აქტალურ იქნას რესპუბლიკის საზღვრებილან გასაყიდად თუ შესანახად განსაკუთრებული მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობის ნივთებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის საგნების გატანა.“

საბოლოო ხელისუფლების პირველ პერიოდში საქართველოს ისტორიული ძეგლებისა და სიძევლეთა დაცვის საქმე მეტად რთულ და უაღრესად საპასუხის-წევებლო ამოცანას წარმოადგინდა; იგი განსაკუთრებულ სიურთხილეს და ორგანიზებულობას მოითხოვდა. ამ პერიოდში პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს კულტურულ მშენებლობის სფეროში, კერძოდ, კულტურულ მემკვიდრეობის დაცვას საქმეში, რაც მიზნად ისახავდა ხალხის მიერ შექმნილი საგანძურის სახალხო საკუთრებად გამოცხადებას, დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მინიშვნელობა პერიოდა ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ჩვენი სიძეველების: ჰედური ხელოვნების, ხელნაწერების, ისტორიული საბუთების გარკვეული ნაწილი ეკლესია-მონასტრებში იყო მოთავსებული. ეს ძეგლები, რომლებიც ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის უძვირფასეს მასალებს შეიცავდნენ, არსებულ პირობებში, ვერ უწევდნენ სამსახურს ჩვენს ხალხს და მცუნიერდას. 1921 წლის აპრილში საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა მუზეუმების, სიძეველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის ქვე-განყოფილება. 15 აპრილს საქართველოს სსრ რეკომიტა გამოსცა დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ. ამ დეკრეტის მე-15 მუხლში ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებათა მთელი ქონება ცხადდება ხალხის საკუთრებად“.

ამ დეკრეტის გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ძეგლების აღ-რიცხვისა და დაცვისათვის, რომლებიც საქართველოს ეკლესია-მონასტრებში იყო მოთავსებული და ხალხის საკუთრებად ცხადდებოდა. მე-15 მუხლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ აღნიშნული ძეგლები მშრომელ ხალხთა და მცუნიერების ინტერესებისათვის ხელუხლებლად დაცულიყო. სამწუხაროდ, ზოგ ადგილას, საქართველოში, ადგილობრივმა ორგანიზაციამ არ გაუშიეს ანგარიში ამ საქმეს და ანტირელიგიურ სტიქიურ მოძრაობასთან დაკავშირდებით, 1922-23 წლებში ბევრგან დაზიანდა ისეთი ძეგლები, რომელთაც დიდი ისტორიული და კულტურული ღირებულება ჰქონდათ. მაგრამ ეს მდგომარეობა მაღლ გამოსწორდა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ ყურადღება მიაქცია ამ საკითხს და 1923 წლის 21 მარტს შექმნა სიძეველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბოლოო თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ა. გეგეტელი, შევერტად: განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი და იუსტიციის სახალხო კომი-

სარი გარემოლი. 17 პრილს საგანგებო კომიტეტშია ცირკულარზე მიმღებები დაუფარვა საქართველოს ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს. ამ ცირკულარში ნათელად დაუფარვა მიმღებია:

.... საგანგებო კომიტეტი წინადაღებას გაძლიერ ეკლესია-მონასტრის გაუქმებისა და ჩამორთმევისას აუცილებლად იხელმძღვანელოთ შემდეგით:

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახუროთმოძღვრო ძეგლი დაყოფილია სამ კატეგორიად: ა) ძეგლები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში დანგრეულან, მაგრამ წარწერებითა, არქიტექტურული ფორმით, თუ სხვა რამეთი მაინც დიდ ღირებულებას წარმოადგენ:

ბ) ძეგლები — ძვირფასი განძულითურთ, რომლებიც ღლემდე ურყევად ღვანან და სადაც წარმოებს და უკანასკნელამდე წარმოებდა მღვდელმსახურება;

გ) ძეგლები, რომელნიც თავისითავად არავითარ სახუროთმოძღვრებო ღირებულებას არ წარმოადგენ, მაგრამ ღლემდე შემცველი არიან ძვირფას განძულობათა.

ზემოთდასახელებულ ძეგლთაგან პირველი ორი კატეგორიისა სათანადოდ აღნუსხული, შენახული და დაცული უნდა იქნას ისტორიისა და კულტურისათვის და, მაშასადამე, არავითარი შეკეთება, გადაკეთება ან სხვა რამე მიზნისათვის მათი გამოიყენება, სანამ საბოლოოდ არ გამოიიყევა ადგილობრივ დაარსებულ საისტორიო მუზეუმების ადგილი, ან შეიძლება და სასტიკადაც აკრძალულია.

რაიცა შეეხება ოვით ძეგლებში დაცულ განძებს, ისინიც სამგებარია: ა) ჰელვითი ხელოვნების კოლექციები — ხატები, კვრები და სხვა. ბ) ქსოვითი ხელოვნების ძეგლები; გ) სხვადასხვა შინაარსის ძველი ხელნაწერები.

პირველი ორი კატეგორიის განძულობა ღირებულებით ორ ნაწილად იყოფა: ა) ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის — ძვირფასი ნახელავი იშვიათი თველებით, ქვებითა და წარწერებით შემცველი;

ბ) განძულობა, რომელიც მხოლოდ ნივთიერ ღირებულებას წარმოადგენს.

გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში თავდაპირველად საჭირო და აუცილებელია ყველა განძის აღნუსხვა, დამოუკიდებლად მათი ამა თუ იმ ღირებულებისა, აღნუსხვას აწარმოებენ ადგილობრივი აღმასკომების პასუხისმგებელი ამხანაგები, მცირდნე პირთა თანდასწრებით.

ყველა ნივთი მესამე კატეგორიისა ეკლესია-მონასტრიდან გამოღებული, თუ იგი გაუქმდა, დაუცუოვნებლივ გადატანილი უნდა იქნას სათანადო აქტის შედგნით, მეორე კატეგორიის იმ ეკლესია-მონასტრებში, რომლებიც უფრო უზრუნველყოფილი არიან ცეცხლისა თუ სხვა ხილათისაგან.

ასე უნდა მოხდეს რესპუბლიკის სიმღიდერეთა პირველი მოქითხვა, პირველი რეგისტრაცია, რომელსაც მოყენება მეორე ნაბიჯის გადადგმა, სახელდობრ, მთელს რესპუბლიკაში სათანადო პუნქტები ამოირჩევა, სადაც დაარსებული იქნება საისტორიო მუზეუმები.

1924 წლის გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა სპეციალური წერილი „ხილებელთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვისათვის“. ამ წერილის ავტორი შ. ჩხეტია მცითხელებს აუწყებდა: რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება ძეგლ დროში გაშენებული ეკლესია-მონასტრები, უიხე-კოშები, სასახლეები, გამოქვაბულები, ძეგლი ხელოთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, გარდა ამისა, ეკლესია-მონასტრებში დაცული ფრიად მნიშვნელოვანი ნივთები, სიგელ-გუარები.

ქულაშვილი წიგნები და სხვ., რომელთაც მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა დობა აქვს...

მეცნიერების მთელი თაობა არის საჭირო, რომ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ძეგლები შესწავლილი იქნას, მაგრამ ამისათვის — განაგრძობს აუტორი, საჭიროა ჩვენამდე მოწყეული სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების სერიულებლად დაცვა. სამწუხაროდ, ამ გარემოებას — წერს შემდგე აუტორი, — უკუღვრის სათანადო ანგარიშს არ უწევნო, მათ არ უპყრობიან ისე, როგორც ამას შემოქმედთა და მეცნიერების ინტერესები მოითხოვსთ. წერილის აუტორი აღნიშვნას, რომ ეკლესია-მონასტრების გაუქმებამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის გაფიციურებლივ აღნიშვნას ანგარიშს არ უწევნო, მათ არ უპყრობიან ისე, როგორც ამას შემოქმედთა და მეცნიერების ინტერესები მოითხოვსთ. წერილის აუტორი აღნიშვნას, რომ ეკლესია-მონასტრების გაუქმებამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის გაფიციურებლივ აღნიშვნას ანგარიშს არ უწევნო, მათ არ უპყრობიან ისე, როგორც ამას შემოქმედთა და მეცნიერების შენობები გადატყეული უნდა იქნან სიძველეთა საცავებად. 1923 წელს 6 მაისს გამოიცა კანონი ძველი ძეგლების დაცვის შესახებ. 1923 წ. 12 ნოემბერს საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დადგენილება საქართველოში სამუშაოში საქმის რეორგანიზაციის შესახებ. მუშაოში რეორგანიზაციას საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიძველეთა დაცვის საქმეში. ეინაიდან მათი გამოყენება დანიშნულებისამებრ მხოლოდ იქ უნდა მომხდარიყო. ამდენად ამ პერიოდში მუშაოში სიძველეთა კონცენტრაციის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ეცეოდა.

საქართველოს ისტორიული ძეგლების, კულტურულ-ფასეულობათა და საერთოდ, სიძველეთა დაცვისა და მათი მუშაოში კონცენტრაციისათვის განსაკუთრებული როლი შესარულა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 4 იქნისის დადგენილებამ „სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის შესახებ“. ამ დადგენილებაში ნათებაშია: „1. შეკეთება, გადაკეთება, რესტავრაცია, დანგრევა ან რაიმე მიზნისათვის გამოყენება საერთო და რელიგიურ კულტის შენობათა (სასახლე, ციხე, ეკლესია-მონასტრი) უნდა ხდებოდეს მხოლოდ განათლების კომისარიატთან არსებულ ჩესპებლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს ნებართვით.

ხეროომინძლებულების ძეგლთა ფაქტური დაცვა კი სრულად კომიტეტს აღვილობრივ მუშაოშითა, ან მათ სამაგიერო დაწესებულებათა უშუალო მონაწილეობით.

2. მიღებულ იქნას სათანადო ზომები არქეოლოგიურ ძეგლთა დასაცავად და მათი გათხრა და შესწავლა წარმოებდეს მხოლოდ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს ნებართვით.

3. ყველა აღმოჩენილი განძი და აგრესოვე არქეოლოგიური მნიშვნელობის ნიერი აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო მუშაოში.

4. ყოველგვარი სამუშაოში ქონება, მუშაოშის ღიყვილაციის შემთხვევაში, გადადის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს განკარგულებაში.

5. სიძველეთა და ხელოვნების სამუშაოში მნიშვნელობის ყოველგვარი საგანი, რომელიც უპატრიონო ქონებად ითვლება, ანდა, რომელიც სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს წინასწარ ნებადაურთვევლად გამოყენებული იქნება სამეცნიერო მიზნით, აღმოჩენისათვალი აუცილებლად უნდა გადაეცეს სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს“.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა პქონდა ხელმძღვანელი ორგანოს კონკრეტულ მითითებებს.

განათლების სახალხო კომისარიატმა ამ ეროვნული საქმის ხელმძღვანელობა დააკისრა მის ქვემდებარე სამეცნიერო დაწესებულებათა მთავრი სამსახურის ლოს. ამ დროისათვის სამმართველო აერთიანებდა და ხელმძღვანელობდა: საქართველოს მუშეუმს, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუშეუმს, საქ. საეთნოგრაფიო საზოგადოებას, საქ. გეოლიგიურ მსხერვატორიას, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას, ეროვნულ სამხატვრო გალერეას, საქ. წიგნის პალატას, საქ. გეოგრაფიულ საზოგადოებას, ქართველ ექიმთა საზოგადოებას, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და სხვ.

1924 წ. 20 სექტემბერს საქართველოს განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს-თან დაარსდა მისი ქვემდებარე „სიძეველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილება“. განყოფილების თავმჯდომარედ დაინიშნა საქართველოს ცენტრ. აჩვენის გამგე სარგის კაკაბაძე. წევრებად: — საქართველოს მუშეუმის ღირებული ნ. ყიფიანი, საისტორიო-საეთნოგრაფიო მუშეუმის გამგე — ს. გორგაძე ეროვნული გალერიის დირექტორი — დ. შევარდნაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი — გ. ჩუბინაშვილი (ამგამად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე). განყოფილებამ მიზნად დაისახა ისტორიულ და არქეოლოგიურ ძეგლთა აღრიცხვაზე აყვანა. რესპუბლიკის მასშტაბით პროვინციებში ეწყობა ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო ძეგლთა მეოფალურე პარატი, ამ პარატის ფუნქციებს ასრულებენ ადგილობრივი აღმასკომების მიერ შერჩეული პირები, რომელთაც განყოფილება ამტკიცებდა.

მაზრაში დაინიშნულ რწმუნებულების მუშაობის გაადვილების მიზნით განყოფილებამ შეიმუშავა ვრცელი ინსტრუქცია, რომელიც 10 მუხლისაგან შედგებოდა.

ინსტრუქცია რწმუნებულებს ავალებდა ისტორიულ მიზნების სიძეველეთა, ხელოვნების და ნივთიერი კულტურის ძეგლთა აღრიცხვასა და ფიქსაციას. რწმუნებულებუნდა დაეცავათ სერიო და საკულტო დანიშნულების ძეგლები: (ძველი ეკლესია-მონასტრები, სამღლოცველო, ძველი სახლები, ციხე-კოშები, ხალები, ოქრომჭედლობის ნივთები, ხატები, ჯვრები და სხვ.) სერიო და სასულიერო ძველი ხელნაწერი წიგნები, საბუთები, სრგელ-გაურები, საკლებით და საოჯახო ცურკლებულობა, ეთნოგრაფიული და საფეირო თვალსაზრისით საინტერესო ტანასაცმელი, არქოლოგიური ძეგლები, რწმუნებულებს პქონდათ მუდმივი კავშირი და ურთიერთობა განყოფილებასთან, ატყობინებდნენ იმ ღონისძიებებს შესახებ, რათა თავის დროში მიღებულიყო ზომები. აღნუსხავდნენ, როგორ ეპყრობოდნენ ძეგლთა დაცვის საქმეს ადგილობრივი მცხოვრები, რა ბოროტმოქმედება პქონდათ ჩადენილი ძეგლების მიმართ. რწმუნებულები აგროვებდნენ ძეგლებს და შეისყიდნენ კიდევ საჭიროების შემთხვევაში. დროგამოშეებით ადგინდნენ მოხსენებით ანგარიშს თავიანთი მუშაობის შესახებ.

1925 წ. ივლისში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ შინაგან

საქმიერა სახალხო კომისარიატს ცირკულარული მიწვერილობა გაუგზავნა, მასში და საქვემდი იყო: „საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული ზორუნვის საგვარეულო შეადგინს მშრომელთა ყოველმხრივი კულტურული განვითარების უზრუნველყოფა, რისთვისაც ყოველი ნაშთი, რომელიც ააშეარავებს ჩვენი ქვეყნის წილობრივ და გონიერობის მიღწევას და გამოდგება მაღალი კულტურის შესაქმნელად, სათანადოდ უნდა იქნეს მოვლილი და გამოყენებული“.

დასაცულეთ საქართველოში, ქუთაისში იყო ერთადერთი აპარატი, რომელიც ხიძეცულება დაცვის საქმეს ახორციელებდა მთელ იმტრეთში, რაპაში, ლეჩხუმში, სვანეთსა და, ნაწილობრივ, გურიასა და სამეგრელოში, იმ მითითებათა საფუძვლზე, რომელსაც ზემდგომი ორგანო მოითხოვდა. ბუნებრივია, ამის გამო ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს მეტად როცელ სამუშაო დაეკისრა.

1923 წელს გაზაფხულზე საქართველოს სიძეველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტისაგან მაზრებში გაიგზავნა სპეციალური მიმართვები, რომ განსაკუთრებული სიციროთხილით მოპყრობოდნენ ხელოვნების ძეგლებს. იმტრეთის მაზრებში ამ საქმის ორგანიზაცია დაკისრებული პქონდა ქუთაისის სამართლით-საეთნოგრაფიო მუზეუმს. აღგილებზე ამის პასუხისმგებლები თემების აღმასკომში იყვნენ. 1923 წლის მაისში ქუთაისის მაზრის აღმასკომში ყველა თემის აწინობა, რომ ისტორიულ ხასიათის ნივთები არ დაკარგულიყო და პასუხისმგებელ პირს ჩაბარებოდა. ამასთან აღნიშნული იყო ის ეკლესიები, სადაც ნივთების გარდა, თვით შენობებიც (არქიტექტურულ-მხატვრულ თვალსაზრისით) უნდა დაცულიყო. გელათის მონასტრის წინამდებარს გადაეცა ცნობა გელათის სიმიზირის დაცვის შესახებ. აპრილში მოწამეთის მონასტრის ნივთები ჩამოიტანეს და მოათავსეს ქუთაისის პროფესიონელების ბინაში. ამ უკანასკნელმა ეს ნივთები 1923 წ. მაისში ქუთაისის მუზეუმს გადასცა. ამასთან გაფრთხილებული იქნა წორაპნის მაზრის კომისარი მონასტრებში და ეკლესიებში არსებული ნივთების დაცვის შესახებ. ასეთივე დავალება მიეცა რაჭის სიძეველეთა დაცვის მეთავალურს. გადარჩეული იქნა აგრძელებულ ქუთაისის საქათვედრო ტაძრის ნივთებიც მუზეუმში წარმოსადგენად. 1923 წ. 4 ივნისს სიძეველეთა დაცვის საგანგებო კომიტეტი და სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი სამსართველო ერთობლივ მამართვას უგზავნიან ქუთაისის მუზეუმს იმის შესახებ, რომ ქუთაისის აღმასკომის მიერ დანიშნულ პირთა მონაწილეობით აღწერათ ქალაქისა და მაზრის სიძეველეთა და ხელოვნების ძეგლები. მათ უნდა გაერკენოთ რომელ მათვანს უქნებოდა ისტორიული მნიშვნელობა, რომელს ექნებოდა ნივთები ღირებულება, რომელი ხუროთმოძღვრული ძეგლები უნდა დაცულიყო და რომელი მათვანი შეიძლებოდა დაწესებულიყო საისტორიო მუზეუმად. ასეთივე სამუშაო უნდა ჩატარებულიყო შორისმის მაზრაში და რაპა-ლეჩხუმში.

1923 წლის ივნისის მეორე ნახევარში შორაპნის მაზრაში გაიგზავნა მთავარი სამმართველოს მითითებით ქუთაისის მაზრის რწმუნებული, რომელმაც ადგილობრივი სამაზრო აღმასკომის წარმომადგენლებთან ერთად შეისწავლა წაზრის სიძეველეთა მდგომარეობა. გასინჯული იქნა ზემო-იმერეთის სიძეველები.

1923 წლის აგვისტოში გელათის სიმდიდრე გადაეცა ქუთაისის მუზეუმს. გელათის მონასტრები, როგორც ისტორიულ-არქიტექტურული მნიშვნელობის ძეგლი, მუზეუმად გამოცხადდა. გადადგმული იქნა ნაბიჯი ძეგლების დაცვისა და ჟურნალისათვის.

1925 წ. 9 მაისს სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა ფრცეს გან-
ყოფილება ქუთაისის რწმუნებულს თხოვდა, რომ მუდმივი კონტაქტი, ჰქონიდა
რაჭა-ლეჩებუმის განყოფილების რწმუნებულებთან და აგრევებულებულებთან
შორაპნის მაზრაში განყოფილების რწმუნებულთა მოსაწყობად, ხოლო ქუთაი-
სის მაზრაში ის რწმუნებულთა აპარატის გამღირებას მოითხოვდა. ასე, მაგა-
ლითად, აუცილებელია მნიშვნელოვანი ძეგლების რაონზში ძეგლების დაცვის მე-
თვალყურე აპარატის შექმნა. ქუთაისის მაზრაში ასეთი მეთვალყურეობა მართ-
ლაც მიანდეს სპეციალურად დანიშნულ პირებს: გოორგი ტეეშელაშვილს (ვანის
რაიონი), გალაქტიონ დოლონაძეს (ოკრიბის რაიონი), გენადი მაღლაურიძეს
(ხონის რაიონი), მიხეილ ბალათურიას (სამტრედიის რაიონი), პავლე უორჩიხი-
ძეს (ბალათის რაიონი), და სხვ. აყვანილი იქნა ალრიცხვაზე ქუთაისის, შორაპ-
ნის, რაჭის, ლეჩებუმის, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრების ძეგლები.
1925 წ. გაზაფხულზე სპეციალური მინიჭობილობით განათლების სახალხო კომი-
სარიიატის მანდატით დას. საქ-ში გაიგზავნა სიძველეთა, ხელოვნების და ბუნე-
ბის ძეგლთა დაცვის განყოფილების ინსპექტორი გოორგი ბოჭორიძე, რომელმაც
იმიგრაციურა ქუთაისის, რაჭის, ლეჩებუმის, შორაპნის მაზრებში. მისი მივლინების
მიზანს შეადგენდა ისტორიული ნივთების გასინჯვა, აღწერა, შეგროვება და მა-
თი დანიშნულებისამებრ გაუზავნა.

ივლისის მეორე ნახევარში გ. ბოჭორიძე ეწვია რაჭის მაზრას, ავგისტოში
ლეჩებუმში მუშაობდა, 1925 წ. 1 დეკემბრიდან 1926 წლის 15 იანვრამდე მან მო-
იარა ქუთაისის მაზრა. თუ რა შედეგი მოჰყვა ამ მუშაობას, ეს ჩანს თვით გ. ბო-
ჭორიძის მოხსენებით ბარათიდან, რომელიც წარუდგინა მან ხელოვნების, სიძ-
ველეთა და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილებას. შეგროვილი იქნა დიდალა
მასალა. აქ იყო კედლური ხელოვნების ძეგლები, ხელნაწერები, საბუთები, ეთნო-
გრაფიკული ნივთები და სხვა. მის მოგზაურობას სასურველი შედეგი მოჰყვა. მან
არაერთი ძეგლი გადასარჩინა დაღუშვას, რადგან გადამწყვეტი ზომები იქნა მიღე-
ბული კულტურის ძეგლთა დასაცავად.

1924 წ. ქუთაისის მაზრობლად თეთრამიწაზე სიძველეთა და ხელოვნების
ძეგლთა დაცვის რწმუნებულმა ა. ჭაბუკაგანმა ნეოლითელი ადამიანების იარაღები
აღმოაჩინა, რომელიც სხვა მასალებთან ერთად გადაეცა ქუთაისის მუზეუმს.

ხელოვნების ძეგლთა დაცვასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექ-
ცემდა ბუნების ძეგლთა დაცვის საქმეს. 1925 წლის 14 დეკემბერს სიძველეთა
და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილებასთან შექმნა ბუნების ძეგლთა
დაცვის სათათბირი სექცია. განყოფილება მოითხოვდა, რომ ბუნებრივი და
ოვალსაჩინო გამოქვაბულები ხელუხლებლად დაცულიყო.

ქუთაისიდან 5 კმ-ის დაშორებით ჭაბუკაგანის მიერ აღმოჩენილი იქნა სა-
თათბირის ბუნებრივი გამოქვაბული, რომელიც კავკაციაში ცნობილ გამოქვა-
ბულთა შორის ყველაზე მდიდარ და ულამაზეს ბუნებრივ ძეგლად იქნა ციო-
ნილი.

ასეთია მოკლედ ის ღონისძიებანი, რომელიც გატარდა საქართველოში
საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა
დაცვის საქმეში.

სოლომონ ჩუციშვილი

პრეზენტი

ამ ძეგლისაც უდია კატერიობა

საქართველოს ისტორიული წარსული აღსავსეა დიდ ადამიანთა საგმირო და საქელოვანი საქმეებით. სამშობლოს დაცვა იქნებოდა თუ ციხე-სიმაგრეებისა და კულტურული მნიშვნელობების მშენებლობა, კამთააღმწერლობა თუ მხატვრული აზ-ჩოქების ნამოქმედარი, მუკლანახეობა თუ სხვა რამ, ყველგან ქართველი მოღვაწეობა და მომავლისათვის ინახავდა თავის მშობლიურ ქვეყანასა და მის კულტურას. სასტიკმა და განუვითხავმა წარსულმა თავდაცემულთა საფლავი კი არა, ხშირად სახელიც კი ვერ გვიანდება. შინაური თუ უცხოელი აღტაცებულია ქართული არქიტექტურის ძეგლებით და ჩვენ კი ცნობა არ მოგვეპოვება იმისა, თუ ინ დახაზული გვერდი ამათუ იმ ბრწყინვალე ძეგლისა და ვინ თავა ხუროთმოძღვრება მისი. ახეა ყველა დარგში, მრავალი მუშავისა და მოღვაწის სახელი დაკარგულია, სასტიკმა დრომ იმ მოღვაწეთა უკანასკნელი განსასვენებელიც წაშალა. შორის წარსულიდან ქართველ მოღვაწეთა ორიოდე საფლავმა თუ მოაღწია ჩვენმდე „ქართლის ცხოვრებაში“ იშვიათად თუ ვნახავთ ცნობას დიდ ადამიანთა სამედამი ადგილსამყოფელის შესახებ, არც სხვა წერილობითი წყაროებისა მდიდრი ამგვარი ცნობებით. XIX საუკუნეში რამდენიმე წიგნი არის დაწერილი, რომელმციც სხვა მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად აცტიკრები აღნიშნავს ამა იუ იმ ტაძარში იუ ეკლესიაში ცნობილ ადამიანთა დასაფლავების ამბებს. ამ შერიც აღსანიშნავია ანტონ ნატროშვილის, პლატონ იოსელიანის, დ. ნათაშევიძის, ნ. მაჭარაშვილისა და სხვათა წიგნები. ძეგლად ცნობილ ადამიანებსა და საზოგადო მოღვაწეებს ეკლესიებში და მათ გალავნებში ასაფლავებდნენ, ამდენად ჩამოთვლილ წიგნები და მათი მსგავსი ლიტერატურა კარგი წყაროა სხვადასხვა ცნობებისათვის.

თბილისი ფურეალთვის იყო ჩვენი ქვეყნის დედა, ამიტომაც ქართული კულტურის მუშავთა უდიდესი ნაწილი აქ ცხოვრობდა და აქვე პპოვებდა სამუდამო განსახვენებელს. XIX საუკუნის ბევრი მოღვაწე დასაფლავებული იყო ვერის სასაფლაოზე, აგრეთვე სოლოლაკის კათოლიკეთა სასაფლაოზე, კუკიზე და სხვა-გან. ცნობილი და სახელგანთქმული მწერლები: გრიგოლ რჩეულიშვილი, ზურაბ ანტონოვი, ნიკო ბერძენიშვილი, უშრალ „ცისქრის“ მრავალი მონაწილე და სხვანი ვერის სასაფლაოზე ემარხნენ, რომელთაგან ახლა გადარჩენილია მხოლოდ დანიელ ჰინდუაძისა და ლავრენტი არდაშიანის საფლავები.

ქველად თბილისში იყო რამდენიმე ცდა ქართველ მოღვაწეთათვის გამოეყოთ განსახვენებელი და პანთეონის მსგავსი რამ შემოეკაებინათ სასაფლაოზე, ასე იყო, მაგალითად, კუკის სასაფლაოზე, სადაც დამარტულნი არიან ავქსენტი (ასეი) ცაგარელი, ნატო გაბუნია, შიო ჩიტაძე, ლადო აღნიაშვილი და სხვ.

ქართველ მოღვაწეთა დასაფლავებას ძეგლად ხშირად საზოგადოებრივი და-

წესებულებანი და საზოგადოებანი აწყობლენ იმის მიხედვით, რა რა დაშიახურებისა იყო ხალხისა და ქაფუნის წინაშე განსვენებული. ეს ვე დაწესებულებანი ადგამდენ ხოლმე ძეგლებს სათანადო წარწერებით გარდაცვალით. უკირა ხშირად ჭირისუფალი ცდილობდენ არ დაკარგულიყო საზოგადო მიღებულის ადგილსამყოფელი და კულტურის ისტორიას შერჩენოდა მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღმნიშვნელი წარწერა.

